

დანართი №

დამტკიცებულია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

განათლებისა და კულტურის მინისტრის

2020 წლის 21 ივლისის №199/ფ ბრძანებით



ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაცია

(ქვეპროგრამის კოდი: 06 07 10)

ქ. თბილისი, 2020 წელი

მთავარი საინფორმაციო გვერდი

ქვეპროგრამის დასახელება

ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაცია

ქვეპროგრამის განხორციელების ადგილი/მისამართი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო), ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №68.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფები

კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკური და იურიდიული პირები (კულტურის ორგანიზაციები, განსაკუთრებული მიღწევების მქონე, ნიჭიერი და წარმატებული კულტურის მუშაკები)

ქვეპროგრამის რეზიუმე

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის კულტურის, ერთიანი ისტორიული წარსულისა და კულტურული მემკვიდრეობის ხელშეწყობას და პოპულარიზაციას (ისტორიულ-კულტურული ტერიტორიების და ობიექტების, შენობა-ნაგებობების, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების, ფოლკლორის, მხატვრული სუვენირების, ხალხური რეწვის და ხელობის, პროფესიული ხელოვნების დარგებისა და ლიტერატურის, სახელოვნებო განათლების და მასთან დაკავშირებული პედაგოგიკის, სამეცნიერო კვლევისა და მეთოდის, ტექნოლოგიების, კულტურული და შემოქმედებითი მოღვაწეობის), ასევე კულტურულ - გასართობი შემეცნებითი პროგრამების მხარდაჭერას, საქართველოს და საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე აფხაზეთის კულტურის, ისტორიული წარსულისა და კულტურული მემკვიდრეობის წარდგენას, როგორც ერთიანი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნაწილისა. გარდა ამისა, კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკური და იურიდიული პირების ფინანსურ მხარდაჭერას/თანადაფინანსებას - მათი კონკურსებში, ფესტივალებში, კულტურის დღეებში, ფორუმებსა და სხვადასხვა სახის შემოქმედებით და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

დაფინანსების თაობაზე პროექტის (განაცხადის) წარდგენის უფლება აქვს კულტურის სფეროში მოღვაწე ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. შემოსულ განაცხადს განიხილავს სამინისტროში შექმნილი სპეციალური კომისია.

ქვეპროგრამის დეტალური განხილვა

1. პრობლემის აღწერა

ქართული ეროვნული კულტურის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს აფხაზეთის კულტურას, ერთიან ისტორიულ წარსულს და კულტურულ მემკვიდრეობას. სამწუხაროდ, საზოგადოების ნაწილისათვის აფხაზეთი მეტწილად კონფლიქტებთან ასოცირდება და ბევრისთვის უცნობია აფხაზეთის უმდიდრესი კულტურული ტრადიციები. ვიხელმძღვანელებთ სახელმწიფო კულტურული პოლიტიკით - იმ პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობით, რომლითაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო კულტურის დაცვის, განვითარებისა და გავრცელების საქმეში, ასევე კულტურის სფეროში მსოფლიოს

ცივილიზებული ერების გამოცდილებით, შევიმუშავეთ ქვეპროგრამა, რათა ხელი შევუწყოთ საქართველოს მოქალაქეთა კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებასა და გაღრმავებას, აფხაზეთის კულტურის, ისტორიული წარსულისა და კულტურული მემკვიდრეობის საკითხებში, როგორც ერთიანი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნაწილისა.

2. ქვეპროგრამის მიზნები და დასაბუთება

ქვეპროგრამის მიზანი და ამოცანაა ხელი შეუწყოს კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ქართულ-აფხაზური კულტურის, ერთიანი ისტორიული წარსულისა და კულტურული მემკვიდრეობის წარმოსაჩენად და შესანარჩუნებლად; ქართული კულტურის აქტიურად ჩართვას ერთიანი მსოფლიოს კულტურულ პროცესებში.

3. მოსალოდნელი რისკები

- ა) მსოფლიო პანდემია;
- ბ) განსახორციელებელი პროექტისადმი სამიზნე ჯგუფის მიერ ინტერესის არქონა;
- გ) ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ვალდებულებები არადროული/არასწორი შესრულება;
- დ) განაცხადების არ წარმოდგენა.

4. ქვეპროგრამის შემსრულებელი სამინისტროში და პარტნიორი

- ა) სამინისტროს ხელოვნებისა და მიმდინარე ღონისძიებების სამსახური;
- ბ) სამინისტროს ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო;
- გ) სამინისტროს საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების სამსახური.
- დ) იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

5. ქვეპროგრამის ღონისძიებები (დეტალურად)

- ა) პროგრამის შესახებ ინფორმაციის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსება;
- ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის სამინისტროში სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც განიხილავს შემოსულ განაცხადებს და დაფინანსებისათვის შეარჩევს;
- გ) შემოსული განაცხადების რეგისტრაცია;
- დ) კომისიის გადაწყვეტილებით თანადაფინანსება გაეწევათ:
 - დ.ა) კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც ეფექტურად წარმოაჩენენ აფხაზეთის კულტურას, საქართველოსთან მის ერთიან ისტორიულ წარსულს და კულტურულ მემკვიდრეობას, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ;
 - დ.ბ) თანადაფინანსება გულისხმობს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ხარჯების ანაზღაურებას ქვეპროგრამით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.
 - დ.გ) უცხოეთიდან მოწვევის შემთხვევაში, ოფიციალური მოწვევა კულტურულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, თარგმნილი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული;
 - დ.დ) საბანკო რეკვიზიტები (შესაბამისი ბანკის მიერ გაცემული ამონაწერი);
 - დ.ე) ასევე დაფინანსების მიღებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია.
 - დ.ვ) საპროექტო განაცხადი უნდა შეივსოს დანართი №1-ის შესაბამისად.

5. დამატებითი მოთხოვნები

დაფინანსებული ფიზიკური/იურიდიული პირი ვალდებულია დაფინანსებლის მოთხოვნის შესაბამისად წარმოადგინოს დაფინანსების მიღებასთან დაკავშირებული ფინანსური დოკუმენტაცია.

ღონისძიებათა კალენდარული განრიგი													
	ღონისძიების დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1	კომისიის შექმნა												
2	განაცხადების რეგისტრაცია												
3	განაცხადების განხილვა კომისიის მიერ												
4	თანადაფინანსება												

6. მოსალოდნელი შედეგები

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზური კულტურის, ერთიანი ისტორიული წარსულის და კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენას და პოპულარიზაციას. კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საშუალება მიეცემა განახორციელონ საქმიანობა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. გარდა ამისა, აფხაზეთის სახელით, საერთაშორისო ღონისძიებებში კულტურის მოღვაწეთა მონაწილეობა ფართო საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახებს, რომ აფხაზეთის კულტურა და კულტურული მემკვიდრეობა ერთიანი ქართული კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილია.

7. ქვეპროგრამის სიცოცხლისუნარიანობა

ქვეპროგრამა უკვე რამდენიმე წელია, რაც წარმატებით ხორციელდება და მან არაერთ ხელოვანსა და შემოქმედებით კოლექტივს შეუწყო ხელი მაღალ დონეზე წარმოეჩინა ქართულ-აფხაზური კულტურა, ერთიანი ისტორიული წარსული და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამიტომაც, მიზანშეწონილია ქვეპროგრამის გაგრძელება.

8. მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები

ფინანსური ანგარიშის გარდა წარმოსადგენია:

- ა) ფოტო და ვიდეო მასალა;
- ბ) მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატი (არსებობის შემთხვევაში);
- გ) მედიაში/პრესაში გავრცელებული ინფორმაცია.

ქვეპროგრამის კოორდინატორები სამინისტროში:

სალომე თორია და ლიანა ხურცილავა.